დამსაქმლებლის დასახელება და მისამართი	წამლის ხარისხის კონტროლის ლაბორატორია, თბილისი, ქ. გამსახურდიას გამზ. №24

თარიღი	2006-2009წწ.
საქმიანობა ან თანამდებობა	შტატგარეშე პედაგოგი
დამსაქმლებლის დასახელება და მისამართი	აპოლონ ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

თარიღი	2007-2008წწ.
საქმიანობა ან თანამდებობა	მიკრობიოლოგი
დამსაქმლებლის დასახელება და მისამართი	კომპანია „ივერიაფარმა”, თბილისი, დ. აღმაშენებლის ზეივანი, მე-10 კილო

თარიღი	2008-2009
საქმიანობა ან თანამდებობა	ტექნიკური დირექტორი
დამსაქმლებლის დასახელება და მისამართი	კომპანია „ივერიაფარმა”, თბილისი, დ. აღმაშენებლის ზეივანი, მე-10 კილომეტრი

თარიღი	2009-დღემდე
საქმიანობა ან თანამდებობა	ასისტენტ-პროფესორი
დამსაქმლებლის დასახელება და მისამართი	აპოლონ ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

განათლება

თარიღი	1983-1988
მიღებული კვალიფიკაციის დასახელება	სპეციალობა: მიკრობიოლოგია კვალიფიკაცია: ბიოლოგი, ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებელი

თარიღი	2009-დღემდე
მიღებული კვალიფიკაციის დასახელება	დოქტორანტი
განათლების მიმცემი ორგანიზაციის დასახელება და ტიპი	თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, კონსრვაცია/რესტავრაციის მიმართულება.

პერსონალური უნარები და კომპეტენციები	
მშობლიური ენა	ქართული
სხვა ენა	
თვითშეფასება	გაგება
უკროპული დონე	სმენა კითხვა
ინგლისური	C1 C1
რუსული	C2 C2
<i>(*) Common European Framework of reference (CEF) level</i>	

ტექნიკური უნარები და კომპეტენციები	ბიოლოგიური და ქიმიური ანალიზების თანამედროვე მეთოდების ფლობა; პედაგოგიური გამოცდილება; ტექნიკური (პროფესიული) ლიტერატურისა და მეთოდური რეკომენდაციების აღაპტაცია.
---	---

დამატებითი ინფორმაცია	2004-2005წწ. საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის პროექტი – “ბიოლოგია ხელოვნების ნიმუშების კონსერვაციის საქმეში” – სახელმძღვანელოს ”Biology in the conervation of works of art” ადაპტაცია;
სარესტავრაციო პროექტებში მონაწილობა	ნიკორწმინდის მოხატულობის კონსერვაცია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო 2011 Research and education for the conservation of cultural heritage in Georgia – გელათის წმ. გიორგის ტაძარი (2010-2011 შემოცადების მუნიციპალიტეტი ეროვნული ფონდი) ზემო კრიხის მთავარანგელოზის გადახსინის მოხატულობის წინასაპროექტორ შეფასება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო 2011, მანგლისის ტაძრის მოხატულობის წინასაპროექტორ შეფასება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო 2011, ;

CURRICULUM VITAE

თამარ მელივა

პირადი ინფორმაცია
დაბადების თარიღი
მისამართი
Tel.
E-mail

12.05.1990
მხატვრების დასახლება №4, თბილისი
+ (995 51) 213 123
meliva.tamar@yahoo.com

განათლება

2011- დღემდე

რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და
თეორიის ფაკულტეტი, არქიტექტურულ ძეგლთა
რესტავრაცია-კონსერვაციის სპეციალობა,
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია -
მაგისტრატურა

2007 –2011

რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და
თეორიის ფაკულტეტი, არქიტექტურულ ძეგლთა
რესტავრაცია-კონსერვაციის სპეციალობა,
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია -
ბაკალავრი

1 მარტი – 3 ივნისი 2011

რომის სახელმწიფო უნივერსიტეტი "La Sapienza"
prima facolta' di Architettura Ludovico Quaroni,
არქიტექტურილ ძეგლთა რესტავრაცია-კონსერვაცია,
(თავისუფალი მსმენელი, იტალიის საგარეო საქმეთა
სამინისტროს სტიპენდია)

გამოცდილება

სექტემბერი –ნოემბერი, 2011

საქართველოს მემკვიდრეობა
ტების მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია –
რეაბილიტაციის პროექტი

ნოემბერი, 2011

ატენის სიონის ტაძრის ნალესობისა და ქვის
საკონსერვაციო სამუშაოები – მდგომარეობის
წინასწარი კვლევა

ივლისი – აგვისტო, 2010

საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და
გადარჩენის ფონდი, ა. ქუთათელაძის სახ.

აგვისტო, 2008

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
სომიწოდებული მუზეუმის სახელობის ეკლესია -
ძეგლის შესწავლა, გაწმენდა და აზომვა
ჩვენი მემკვიდრეობა

ენების ცოდნა

ქართული
ინგლისური
იტალიური
რუსული

მშობლიური
თავისუფლად
კარგად (B2)
საშუალოდ

კომპიუტერული პროგრამები

AutoCAD
Photoshop Microsoft Office (Word, Excel, PowerPoint)

CURRICULUM VITAE
დავით რამიშვილი

დაბადების თარიღი: 1964 წლის 24 აპრილი
მისამართი თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 97
ტელეფონი (995 32) 2 95 92 89
593 31 72 61

განათლება:

1980-1985 წ.წ.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი,
სამოქალაქო-სამრეწველო მშენებლობის სპეციალობით

1990-1993 წ.წ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის
ინსტიტუტის ასპირანტურა

სამეცნიერო ხარისხი:

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.
(8 პუბლიკაციისა და 2 გამოგონების ავტორი)

სხვა კვალიფიკაცია:

2006 წლის მაისი – პეტერბურგის გზათა მიმოსვლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
ტრენინგი
–“შენობა-ნაგებობებისა და კონსტრუქციების ტექნიკური გამოკვლევა და ექსპერტიზა”
– 72 საათი (სერთიფიკატით)

პროფესიული გამოცდილება:

1994 წ.- დან 2010 წ. –სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ტექნიკური ექსპერტიზისა და ექსპერიმენტული
პროექტირების ლაბორატორიის გამგე;
–ამავე ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი
–ამავე ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი

2002-2005 წ.წ.– სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის
საინჟინრო დისკიპლინების კათედრის გამგე

1990-1985 წ.წ. – საკავშირო დაქვემდებარების საპროექტო ინსტიტუტ
“საქსახმოების” ინჟინერი, წამყვანი სპეციალისტი.

კონფერენციებში მონაწილეობა:

1999 წ. ქ. თბილისი – საერთაშორისო სიმპოზიუმი “სეისმომედეგობა და საინჟინრო სეისმოლოგია”

2001 წ. გერმანია, ქ. შტუტგარტი – საერთაშორისო სიმპოზიუმი “Connection between Steel and Concrete”

ენების ცოდნა: რუსული, ფრანგული

კომპიუტერული პროგრამები: MS windows/ms word

შესრულებული საპროექტო სამუშაოები:

- ქ. ფოთის ტერმინალის პროექტი (კონსტრუქტორი)
- ქ. ვლადიმირის მსუბუქი მრეწველობის საწარმოო კორპუსის პროექტი (კონსტრუქტორი)
- ქ. კისლოვოდსკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოო კორპუსის პროექტი (კონსტრუქტორი)
- ქ. ზაპოროევის ავტოსამრეწველო კომპლექსის რეკონსტრუქციის პროექტი (კონსტრუქტორი)
- სს „საქართველოს ბანკის“ ცენტრალური ოფისის რეკონსტრუქცია-გაძლიერების პროექტი (კონსტრუქტორი)
- საქართველოს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ცენტრალური კორპუსის გაძლიერების პროექტი (კონსტრუქტორი)
- „პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ინსტიტუტის“ ცენტრალური კორპუსის გაძლიერების პროექტი (კონსტრუქტორი)
- გამსახურდიას გამზ. №23 რვასართულიანი საცხოვრებელი სახლის გაძლიერების პროექტი (კონსტრუქტორი)
- საბურთალოს ქ. №42/6 ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის გაძლიერების პროექტი (კონსტრუქტორი)
- იოსებიძის ქ.№71 ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის გაძლიერების პროექტი. (კონსტრუქტორი)
- ორბელიანის ქ.№18 ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი (მთ. კონსტრუქტორი)
- დიდი დიღმის IV მკ.რ.-ში შვიდსართულიანი მრავალფუნქციური სახლის პროექტი (მთ. კონსტრუქტორი)
- შინდისში სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი (მთ. კონსტრუქტორი)
- თბილისის ზღვის ტერიტორიაზე სამსართულიანი სახლის პროექტი (მთ. კონსტრუქტორი)
- 14-სართულიანი მსხვილპანელური შენობების გაძლიერების პროექტი
- ეთნოსტორიულ უბნებში ხანდაზმული შენობების რეკონსტრუქციისა და გაძლიერების კონსტრუქციული გადაწყვეტები

საექსპერტო საქმიანობა:

- ქ. თბილისში ი. აბაშიძის ქ. 65-67-ში ათსართულიანი მრავალფუნქციური სახლის პროექტის ექსპერტიზა და მიმდებარე საცხოვრებელ სახლზე ზეგავლენის საკითხის შესწავლა
- ამხანაგობა “ბარნოვი 2”-ის მშენებარე მრავალფუნქციური სახლის პროექტის ექსპერტიზა და მიმდებარე საცხოვრებელ სახლზე ზეგავლენის საკითხის შესწავლა
- ქ. თბილისში პეტრი მე-2 ჩიხი №2-ში მშენებარე მრავალფუნქციური სახლის პროექტის ექსპერტიზა და მიმდებარე საცხოვრებელ სახლზე ზეგავლენის საკითხის შესწავლა
- ქ. თბილისში ფერისცვალების ტაძრის გაძლიერების პროექტის ექსპერტიზა
- ქ. ბათუმში პუშკინის ქ.-ზე მდებარე რვასართულიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის ექსპერტიზა
- ქ. თბილისში ტოვსტონოვის ქ№3-ში მშენებარე მრავალფუნქციური სახლის პროექტის ექსპერტიზა და მიმდებარე საცხოვრებელ სახლზე ზეგავლენის საკითხის შესწავლა
- ქ. თბილისში წინამდღვრიშვილის ქ. 176-ში მშენებარე მრავალფუნქციური სახლის პროექტის ექსპერტიზა და მიმდებარე საცხოვრებელ სახლზე ზეგავლენის საკითხის შესწავლა
- საჯარო სკოლების ტექნიკური ექსპერტიზა
- ქ-თბილისში სამოქალაქო და სამრეწველო შენობების მზიდი კონსტრუქციების დეტალური ტექნიკური ექსპერტიზა
- ეთნოისტორიულ უბნებში ხანდაზმული შენობების ტექნიკური ექსპერტიზა

Curriculum Vitae

გურამი რაზმაძე

საქართველო, ქ. თბილისი.

საბურთალოს ქ. კორპ. 3, ბინა 17.

ტელ. (995 32) 237 19 41; (995 32) 599 111 123.

1. სახელი, გვარი: გურამი რაზმაძე;

2. დაბადების თარიღი: 29.08.1951;

3. ეროვნება: ქართველი;

4. ოჯახური მდგომარეობა: ცოლიანი, ორი შვილი;

5. განათლება: უმაღლესი, 1973 წელს დაამთავრა საქართველოს
პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიური ფაკულტეტი,
პიდროგეოლოგისა და საინჟინრო-გეოლოგიის
სპეციალობით;

6. სამუშაო ადგილი – თანამდებობა:

1973-74 საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პიდროგეოლოგიისა და
საინჟინრო-გეოლოგიურ პრობლემათა სამეცნიერო-კვლევითი
ლაბორატორია – უმცროსი მეცნიერ-მუშაკი;

1974-77 “საქართველოს გეოლოგიური” პიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური
ექსპედიცია – გეოლოგი;

1977-82 საპროექტო ინსტიტუტი “საქართველოს მშენებლები” – უფროსი
ინჟინერ-გეოლოგი;

1982-92 საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს პიდროგეოლოგიური და
საინჟინრო-გეოლოგიური ექსპედიცია – ჯგუფის უფროსი;

1992-95 საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს პიდროგეოლოგიური და
საინჟინრო-გეოლოგიური ექსპედიცია – პარტიის უფროსი;

1995-96 საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატა – უფროსი
ინსპექტორი;

1996-98 საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს ტრაქმატოლოგიისა და
ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი – დირექტორის
მოადგილე საფინანსო-ეკონომიკურ დარგში;

1998-2001 შპს “ექსი” – დირექტორის მოადგილე საწარმოო დარგში. ს/ს
“აზოგში” შპს “ექსი”-ს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი
(ქარხნის მატერიალურ-ტექნიკური და სატრანსპორტო
უზრუნველყოფა, წარმოებული პროდუქციის ექსპორტი და
საწარმოო მაჩვენებლების სტატისტიკური დამუშავება);

2001-2005 შპს “ჯეენექსი” – სატრანსპორტო გადაზიდვების მენეჯერი;

2005-2006 ს/ს „აზოგი“ – მომარაგება-გასაღების განყოფილების უფროსი.

2006-დღემდე შპს “გეოინჟინერულებელი” – აღმასრულებელი დირექტორი.

7. სამუშაო გამოცდილება სპეციალობით:

დუშეთის რ-ნის საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვა 1:10000

თიანეთის რ-ნის საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვა 1:25000

ლენტების რ-ნის საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვა 1:25000

საქართველოში საძიებო სამუშაოების წარმოება სამრეწველო და საცხოვრებელი ობიექტების მშენებლობისათვის

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები ეკლესია მონასტრების მშენებლობა რეაბილიტაციისათვის (ძალათხევის მამათა მონასტერი, ახალციხის საკათედრო ტაძარი, ადიგენის რ-ნის სოფ. არალის წმინდა ნინოს სახ. ეკლესია და ჯაყისმანის მამათა მონასტერი, ბაღდათის რაიონის ფერსათის ეკლესია, საჩხერის რაიონის ჯრუჭის წმ. გიორგის სახ. ტაძარი და სხვა).

ახალციხეში რაბათის სამუზეუმო კომპლექსის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა.

8. უცხო ენები: *რუსული – თავისუფლად, ინგლისური დაქსიკონის გამოყენებით;*
9. კომპიუტერი: *MS Windows, MS Office – მოყვარულის დონეზე.*

CV

სახელი,გვარი:	ალექსანდრე რუბაშვილი
დაბადების თარიღი:	1977წ 18 აგვისტო
მისამართი:	რუსთაველის გამზ 46
მობ :	893 26 87 93
ელ-ფოსტა :	gorso@mail.ru

განათლება

1996-2005 წ. თბილისის სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის
ფაკულტეტი.

2011 სამხრეთ შვეიცარიის გამოყენებითი მეცნიერებათა
უნივერსიტეტი

სამუშაო გამოცდილება

- 1999 წ. ბოდბე წმ. გიორგის სახ. ეკლესია ხელ. თ.ჯაფარიძე
- 2000 წ. ყინცვისი წმ. ნიკოლოზის სახ. ეკლესია ხელ. ლ.გურგენაძე
- 2001 წ. სვანეთი სოფ. ფარისვიფი მაცხოვრის სახ.ეკლესია ხელ. მ.ბუჩუკური
- 2001 წ. სვანეთი ლალამი, ხელ. მ.ბუჩუკური
- 2003 წ. სვანეთი სოფ. იელი მაცხოვრიში ხელ. მ.ბუჩუკური
- 2003 წ. შ.რუსთაველის სახ. აკადემიური თეატრი ხელ. ჯ.ახობაძე
- 2004 წ. გ.სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორია ხელ. ჯ.ახობაძე
- 2005 წ. კახეთი სოფ. მატაანი ცხრაკარა (კვლევა, იდენტიფიკაცია) ხელ. დ.გაგოშიძე
- 2005 წ. ქარელი რ-ნი სოფ. ყინწვისი წმ ნიკოლოზი სახ. და ღვთისმშობლის სახ. ეკლესიების (კვლევა) ხელ. დ.გაგოშიძე
- 2005 წ. სამტრედია სოფ. კულაში ხელ. დ.გაგოშიძე
- 2005 წ. ადიგენის რ-ნი სოფ. ზარზმა (კვლევა იდენტიფიკაცია) ხელ. დ.გაგოშიძე
- 2006 წ. აბასთუმანი წმ. ალექსანდრე ნეველის სახ. ეკლესია (მხატ. მ.ნესტეროვი. ზეთი) ხელ. დ.გაგოშიძე
- 2006 წ. ხარაგაულის რ-ნი სოფ. უბისა წმ. გიორგის სახ. ეკლესია ხელ. დ.გაგოშიძე
- 2006 წ. ქარელის რ-ნი სოფ. ყინცვისი წმ. ნიკოლოზის სახ. ეკლესია ხელ. დ.გაგოშიძე
- 2006 წ. ქარელის რ-ნი სოფ. ყინცვისი ღვთისმშობლის სახ. ეკლესია ზელ დ.გაგოშიძე
- 2006 წ. კასპის რ-ნი სოფ ნოსტე წმ. სამების ეკლესია გადაუდებელი იდენტიფიკაცია ხელ. ს.რუბაშვილი

2007 წ. ადიგენის რ-ნი დაბა აბასთუმანი წმ. ალექსანდრე ნეველის
სახ. ეკლესია ხელ. დ.გაგოშიძე

2007 წ. გორის რ-ნი სოფ. ბობნევი წმ. იოანე ნათლისმცემლის
ეკლესია ხელ. ზ.სუმბაძე

2007 წ. ადიგენის რ-ნი სოფ. ძარზმა. ხელ. ზ. სუმბაძე.

2007 წ. მარტვილი ღვტისმშობლის ეკლესის დასავლეთ მინაშენი.
ხელ. გ. ჭეიშვილი.

2008. წ. (აპრილი) მარტვილი ღვტისმშობლის სახ. ეკლესია
საკონსერვაციო სამუშაო ხელ. . გ. ჭეიშვილი.

2008. წ. ახალციხის რაიონი. საფარის მონასტერი კვლევა,
იდენტიფიკაცია, კონსერვაცია, ხელ. ზ. სუმბაძე.

2008-2009. წ. ადიგენის რ-ნი. ჭულეს მონასტერი წმ. გიორგის სახ.
კლესია კონსერვსცია-რესტავრაცია. ხელ. ს. რუბაშვილი

2010.წ. გელათის სამონასტრო კოპლექსი, წმ. გიორგის სახ.
ეკლესის კედლის მხატვრობის რესტავრაცია-კონსერვაცია. ხელ. ს.
რუბაშვილი

2010. წ. ახალციხის რ-ნი სოფ. წინუბანი. ბიეთის ეკლესია
ღვტისმშობლის. სახ. ეკლესია გადაუდებელი საკონსერვაციო
სამუშაოები. ხელ. ს. რუბაშვილი

2011 წელი შვეიცარია – ლუკარნო, ლუგანო – ნაძერწი არქიტექტურული
ელემენტებისა და შეთეთრებული კედლის მხატვრობის კვლევა
კონსერვაცია.

**2010-11 Research and education for the conservation of cultural heritage in Georgia –
გელათის წმ. გიორგის ტაძარი (შვეიცარიის მეცნიერების ეროვნული
უნივერსიტეტი)**

**2011 ზემო კრიხის მთავარანგელოზის ეკლესიის მოხატულობის
წინასაპროექტო შეფასება
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო**

**2011 მანგლისის ტაძრის მოხატულობის წინასაპროექტო შეფასება
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო**

CV

სახელი, გვარი:	დავით ჩართოლანი
დაბადების თარიღი:	1974წ. 16 ნოემბერი
მისამართი:	ფასანაური ანანურის ქ. 10\17
მობ :	814 40 13 13
ელ-ფოსტა :	david_chartolani@yahoo.com

განათლება

1995-2003 წ. თბილისის სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის
ფაკულტეტი.

2011 სამხრეთ შვეიცარიის გამოყენებითი მეცნიერებათა
უნივერსიტეტი

სამუშაო გამოცდილება

- 2001 წ. სვანეთი ლაღამი, ხელ. მ.ბუჩქური
- 2003 წ რუსთაველის თეატრის რესტავრაცია ხელ. ჯ.ახობაძე
- 2004 წ თბილისის კონსერვატორია ხელ. ჯ.ახობაძე
- 2007 წ. შემოქმედის მაცხოვრის სახელობის საკათედრო ტაძარი ხელ. მ.ტატიშვილი
- 2007 წ. ქორეთის წმ.გიორგის სახელობის ეკლესია ხელ. მ.ტატიშვილი
- 2008 წ. ბოლნისის სიონი ხელ. მ.ტატიშვილი
- 2008 წ. გარძიის კომპლექსი (ანანაური) ხელ. მ.ტატიშვილი
- 2008 წ. ილემის წმ. გიორგის სახ. კლესია ხელ. მ.ტატიშვილი
2009. წ. ადიგენის რ-ნი. ჭულეს მონასტერი წმ.გიორგის სახ. კლესია კონსერვაცია-რესტავრაცია. ხელ. ს. რუბაშვილი
- 2010.წ. გელათის სამონასტრო კოპლექსი, წმ. გიორგის სახ. ეკლესიის აღდლის მხატვრობის რესტავრაცია-კონსერვაცია. ხელ. ს. რუბაშვილი
2010. წ. ახალციხის რ-ნი სოფ. წინუბანი. ბიეთის ეკლესია ღვთისმშობლის. სახ. ეკლესია გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოები. ხელ. ს. რუბაშვილი
- 2011 წელი შეეიცარია – ლუკარნო, ლუგანო – ნაძერწი არქიტექტურული ელემენტებისა და შეთეთრებული კედლის მხატვრობის კვლევა კონსერვაცია
- 2010-11 Research and education for the conservation of cultural heritage in Georgia –
გელათის წმ. გიორგის ტაძარი (შეეიცარიას მეცნიერების ეროვნული ფონდი)**
- 2011 ზემო კრიხის მთავარანგელოზის ეკლესიის მოხატულობის
წინასაპროექტო შეფასება**
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
- 2011 განვითარების ტაძრის მოხატულობის წინასაპროექტო შეფასება**
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

ქავების აღწერა

მაცხოვრის ეკლესია ისტორიულად მესტიის თემში შემავალი, მთის ფერდს შეფენილი, სოფელ ლადამის შუაგულში, მჭიდრო განაშენიანებით გარშე-მორტყმულ, ორი შუკის შესაყარზე წარმოქმნილ მცირე მოედანთანაა აღმართული. ეკლესია ამჟამად ორსართულიან ნაგებობას წარმოადგენს, მოზრდილი მინა-შენით დასავლეთ მხარეს (როგორც პირველი, ისე მეორე სართულის დონეზე), თუმცა იგი სხვადასხვა ეპოქათა აღმშენებლობის კვალს ატარებს. თავდაპირვე-ლად, სავარაუდოდ, X-XI საუკუნეთა მიჯნაზე, აქ ძალზე მცირე, დაუმუშავებელი ქვით ნაგები დარბაზული ეკლესია მდგარა – მარტივი ნაგებობა, კონქით დასრუ-ლებული სწორგუთხა საკურთხევლით და დაუნაწევრებელი კედლებით. თავდა-პირველ ნაგებობას ერთადერთი კარი (დასავლეთი) და ორი სარკმელი (საკურ-თხევლისა და დასავლეთ კედლისა) ჰქონდა. სამხრეთ კედელში ამჟამად არსებუ-ლი სარკმელი, მოგვიანებით, XII საუკუნეში ეკლესიის ხელმეორედ მოხატვისას უნდა იყოს გაჭრილი. თავდაპირველი ეკლესიის დასათარიღებლად, ერთადერთი ხელმოსაჭიდი აქ XI საუკუნის დასაწყისის მხატვრობის არსებობაა, რომელიც მისი გადამფარავი, XII საუკუნის II ნახევრის მოხატულობის დაზიანების შედე-გად იხილვება. როგორც ზედა ეკლესიის მხატვრობის საქტიტორო წარწერიდან ჩანს, ლადამის ეკლესიის გაფართოება და მეორე სართულის დადგმა XIV საუკუნეში უნდა მომხდარიყო. პირველი, ქვედა ეკლესიის კედლები გაასქელეს ყველა მხრიდან (საკურთხევლის სარკმლის წირთხებზე ნათლად ჩანს თავდაპირ-გელი და შემოშენებული ნაწილები), დასავლეთი და სამხრეთი სარკმლები ამო-ქოლეს და მეორე სართულის მოზრდილი ეკლესიისთვის მყარი პოსტამენტი შე-ქმნეს. ეკლესიის მეორე სართულზე ასასვლელად საკმაოდ კრცელი “პლატფორ-მის” შექმნა მოუხდათ, რომელიც ოთხ მძლავრ ბურჯზე გადაყვანილ განიერ თაღებს და მათ შორის დიდ კამარასაა დაყრდნობილი. ამ მოცულობას დამატე-ბული აქვს მცირე მონაკვეთები როგორც სამხრეთიდან, ისე ჩრდილოეთიდან. სამხრეთით მცირე კარით გავდივართ შედარებით მცირე კამაროვან სადგომში. ჩრდილოეთიდან მას ემატება კიბის უჯრედი, რომელიც ეკლესიის ჩრდილოეთ კედელს ჩრდილოეთიდან ადგება და ამის შემდეგ გადადის დასავლეთ ბაქანზე (ამ მხარეს მიწის დონე საკმაოდ მაღალია). ეს ბაქანი, ახლა, ზედა სართულის დონეზეც, ამოშენებული და გადახურულია, თუმცა იგი გვიანი მშენებლობის შე-დეგი უნდა იყოს. მისი დასავლეთი კედელი დაცხრილულია განიერი, თაღოვანი სარკმლებით. პირველი სართულის დონეზე გაჩენილი მინაშენი აგებულია უხე-

შად ნათალი და ფლეთილი ქვით. მხოლოდ კუთხეებისთვის არის ნახმარი კარგად გათლილი კვადრები.




ლილვოვან ცოკოლზე აღმართული და საკმაოდ განიერი წრეთარგიანი და ლილვოვანი კარნიზით დასრულებული ზედა ეკლესია დამუშავებული შირიმის კვადრების წყობითაა აგებული. ამ დარბაზული ეკლესიის შიდა სივრცე ორ თანაბარ მონაკვეთად იყოფა ერთი წყვილი ორსაფეხურიანი პილასტრით და მასზე გადაყვანილი კამარის საბრჯენი თაღით. გრძივი კედლები ამ პილასტერბიდან გადაყვანილი მცირე რადიუსის კედლის თაღებითაა დანაწევრებული. საბრჯენ და კედლის თაღებს ერთნაირი პროფილის – თარო და წრეთარგიანი – სხვადასხვა სიმაღლეზე მოთავსებული კაპიტელები აქვს. საკურთხევლის მომცრო და არც ისე ღრმა აფსიდში ორი თაღოვანი ნიშაა. ეკლესიის შიდა სივრცე სამი სარკმლით (საკურთხევლისა, სამხრეთ და დასავლეთ კედლებისა) ნათდება, ხოლო ეკლესიაში მოხვედრა შესაძლებელია მინაშენის გავლით, ერთადერთი დასავლეთი კარიდან.

ამჟამად ქვედა ეკლესიის კორპუსი ერთიანადაა შებათქაშებული და, ერთგვარად, ზედა ეკლესიისთვის მოწყობილი სუბსტრუქციის შთაბეჭდილებას სტოგებს, რომლის მთლიანობას მხოლოდ ქვედა ეკლესიის საკურთხევლის სარკმლის ვიწრო ჭრილი არღვევს. ზედა ეკლესიის ფასადების ერთადერთ სამკაულს სარკმელთა განიერი საპირეები წარმოადგენს, რომელიც სამი ლილვისა და ლილვებშორისი სადა, ამობურცული, განიერი მონაკვეთისგან შედგება.



ორივე ეკლესია (ზედა და ქვედა) მთლიანად მოხატულია. ასევე მოხატულია ზედა ეკლესიის აღმოსავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი ფასადების ზედა ნაწილები. ლადამის მაცხოვრის ეკლესიის მოხატულობანი სვანური ფერწერული სკოლის განვითარების სამი უმთავრესი ეტაპის (ადრეული ხანა, აყვავების ხანა, ე.წ. პალეოლითური ხანა) მეტად საგულისხმო ნაწარმოებებია, რომელნიც გვიჩვენებს ამ ეპოქებში სვანეთში მონუმენტური კედლის მხატვრობის განვითარების საერთო სურათის სირთულესა და მრავალფეროვნებას.



ლადამის ქვედა ეპლესიაში მოხატულობის ორი ფენა გაირჩევა. ქვედა ფენის მხატვრობა (XI ს-ის დასაწყისი), ძირითადი ფენის (XII ს-ის II ნახევარი) დაზიანების შედეგად, ფრაგმენტების სახით ჩანს მთელს ინტერიერში და, ეპოქისთვის დამახასიათებლად, მცირე რაოდენობის გამოსახულებებს მოიცავს – ვეღრების გავრცობილი რედაქცია (კონქი და კამარა), ხარება (დასავლეთი კედლის I რეგისტრი), წმ. მეომართა (წმ. თევდორე, წმ. არტემი, წმ. გიორგი) ფრონტალური ფიგურები (სამხრეთ კედლის II რეგისტრი), წმ. დედათა (წმ. ბარბარე, წმ. ეკატერინე) ფრონტალური ფიგურები (დასავლეთი კედლის II რეგისტრი).



ლადამის XII საუკუნის მოხატულობა, არსებითად, მხოლოდ ინტერიერის ზედა ნაწილებშია შემორჩენილი, სადაც გაირჩევა ნახევარფიგურებიანი ვეღრება (კონქი), ხარება (კამარის სამხრეთი ფერდი), შობა (დასავლეთი კედლის I რეგისტრი), ჯვარცმა (კამარის ჩრდილოეთი ფერდი). აღსანიშნავია შობის სცენის მეტად თავისებური იკონოგრაფია, რომელიც ლადამელი ოსტატის ინდივიდუალური იკონოგრაფიული შემოქმედების ნაყოფად უნდა მივიჩნიოთ.

ლადამის XII საუკუნის მოხატულობა მიქელ მაღლაკელის წრის მოხატულობათა რიცხვს განეკუთვნება, რაზეც მეტყველებს მხატვრობის ანსამბლის საერთო იდეურ-კომპოზიციური გადაწყვეტის თავისებურებანი, ფიგურათა საერთო ხასიათი და პროპორციული წყობა, სამოსის დამუშავება. ამასთანავე, იგი მკაფიოდ გვიჩვენებს მიქელ მაღლაკელის მხატვრულ წრეში მიმდინარე შემოქმედებითი ძიებების თავისებურებებს.



ლადამის ზედა ეკლესიის ინტერიერის მოხატულობაში (XIV ს-ის შუასანა) შემორჩენილი საქტიტორო პორტრეტის წარწერიდან ვგებულობთ, რომ ლადამის ზედა ეკლესიის მაშენებელი შალვა ქირქიშლიანი იყო, ხოლო მოხატულობის მომგებელი – მისი ძმე, ნექე. ამას გარდა, შალვა ქირქიშლიანი მოწმეთა შორისაა დასახელებული ვენაშის ხევის ერთ-ერთი საბუთის ფრაგმენტი, რაც მის დაწინაურებულ სოციალურ მდგომარეობაზე მიგვანიშნებს. ლადამის გარდა, შალვა ქირქიშლიანი ფარის თემის სოფელ სვიფის წმ. გიორგის ეკლესიის II ფენის მხატვრობის (XIV ს-ის მიწურული) ქტიტორად გვევლინება.



ლალამის ზედა ეკლესიის ინტერიერის მოხატულობა, ეპოქისთვის ტრადიციულად, საკმაოდ ვრცელ პროგრამას მოიცავს, რომელსაც ქმნის: ვედრების გავრცობილი რედაქცია (კონქი); მსხვერპლის თაყვანისცემის თავისებური რედაქცია (ქრისტე-ევმანუელი [აფსიდის სარკმელსა და ტრაპეზს შორის მონაკვეთი], წმ. ეკლესიის მამათა – წმ. ბასილი დიდი და წმ. იოანე ოქროპირი – და წმ. დიაკვანთა – წმ. სტეფანე და წმ. გერმანე – რიგი [აფსიდის კედელი]; საუფლო დღესასწაულთა თითქმის სრული ციკლი (მხოლოდ სულიწმიდის მოფენის სცენაა გამოტოვენული [დარბაზის კამარა და სამივე კედლის II რეგისტრი]); ცალკეულ წმინდანთა გამოსახულებანი (წინასწარმეტყველნი – დავით, სოლომონ, ესაია, დანიელ [საბჯენი თაღის შიდა პირი], წმ. თავნი მოციქულნი – პეტრე და პავლე [სატრიუმფო თაღის კაპიტელსა და კანკელს შორის მონაკვეთი], წმ. მოწამე დედათა ვრცელი რიგი – წმ. თეკლა, წმ. ეკატერინე, წმ. ქრისტინე [სამხრეთი კუდლისა და სამხრეთი პილასტრის III რეგისტრი], წმ. ბარბარე, წმ. ირინე [დასაგლეთი კედლის III რეგისტრი], წმ. ივლიტა წმ. კვირიკესთან ერთად, წმ. მარინე [ჩრდილოეთი კედლისა და ჩრდილოეთი პილასტრის III რეგისტრი], წმ. მეომარნი – წმ. გიორგი [ჩრდილოეთი პილასტრის II რეგისტრი] და წმ. დემეტრე [სამხრეთი პილასტრის II რეგისტრი]; ამას ემატება გოლგოთის ჯვრების (აფსიდის ნიშები), საფეხუროვან კვარცხლბეჭე აღმართული განედლებული ჯვრის (ტრაპეზის წი-

ნა პირი), ქრისტე-ძველი დღეთას (კამარის ცენტრი) გამოსახულებანი, წმ. მთავარანგელოზთა – მიქელისა და გაბრიელის – ნახევარფიგურები სამოთხის წიაღ (კანკელი) და შალვა ქირქიშლიანის ქტიტორული პორტრეტი (ჩრდილოეთი კედლის III რეგისტრი). საკურთხეველსა და დარბაზში, ისევე როგორც კანკელზე, მხატვრობის დამასრულებელია დეკორატიული “ფარდა”.



ლაღამის ზედა ეკლესიის საფასადო მხატვრობა იმავე ოსტატების მიერაა შესრულებული, რაც ინტერიერის მოხატულობა და ამ უპანასკნელთან ერთად, რთული, ღრმა თეოლოგიური საზრისის მტვირთველ, კარგად გააზრებულ ერთოან ანსამბლად წარმოგვიდგება. აღმოსავლეთ ფასადზე გამოსახულია ამ ეპოქის სვანეთის საფასადო მხატვრობაში გავრცელებული წმ. ევსტათეს ნადირობის სცენა; ჩრდილოეთ ფასადზე გაშლილია ადამ და ევას პირველცოდვით დაცემის კომპოზიცია, რომელიც ფრიზად გაერთიანებული ოთხი ეპიზოდისგან შედგება – ევას ცდუნება; ადამის ცდუნება ევას მიერ; მონანიე ადამ და ევა; ადამ და ევას განდევნა სამოთხიდან ანგელოზის მიერ; სამხრეთ ფასადზე წარმოდგენილ წმ. მხედართა გამოსახულებებიდან, ჯერ კიდევ წინა საუკუნეში, უმნიშვნელო ფრაგმენტები იყო დარჩენილი.



ლაღამის ზედა ეკლესიის ინტერიერისა და ფასადთა მოხატულობანი სვანეთში შემორჩენილი ე.წ. “პალეოლოგოსთა ხანის” მხატვრობის მნიშვნელოვანი ნიმუშებია, რომელიც გვიჩვენებს სვანეთში ადგილობრივი მხატვრული ტრადიციების ზემოქმედებით, ახალი “პალეოლოგოსური” სტილის დამკვიდრება-გადამუშავების თავისებურებებს.

ეკლესიისა და მოხატულობათა მდგომარეობა

არქიტექტურა

არქიტექტურაზე ძირებული ჩარევა განხორციელდა 2001-2003წწ.-ში (არქ. თ. ნემსაძე) რესტავრაციის მოეწყო მინაშენის ჩრდილოეთი კომპარტიმენტის ჩამოქცელი გადახურვა, მინაშენშივე დაიგო იატაკი. ჩრდილოეთ ფასადის გასწვრივ რკინის კვადრატული მილებზე გაკეთდა თუნუქის გადახურვა, მის ქვეშ კი მოეწყო ბილიკი და კიბე. ჩრდილეთ მხარეს მიწის მოჭრით, ბილიკის გაკეთებითა და რკინის კონსტრუქციის ქანობით პროექტის ავტორებმა სცადეს გაფართოებული ქვაბულის დაცვა ატმოსფერული ნალექებისგან.



ჩრდ. ფასადი თუნუქის გადახურვა

დასავლეთი მინაშენის მზიდი კონსტრუქციები, კედლები და საყრდენი თაღები ბოლო რესტავრაციის პერიოდისთვის ერთმანეთან არ იყო ბმაში. მინაშენის დასავლეთ კედელი გამაგრდა კონტრფოსებით. მინაშენში, სახურავს ქვემოთ რკინაბეტონის ანტისეისმური სარტყელი მოეწყო და სახურავი თუნქების საბურველით დაიფარა.

მიუხედავად რესტავრაციისა, დაზიანებები მაინც თვალშისაცემია, აშკარად შეიმჩნევა კონსტრუქციული პრობლემები – დასავლეთი მინაშენი საგრძნობლადაა მოცილებული ეკლესიის ძირითად კორპუსს და არსებობს რეალური საფრთხე ორივე სართულზე მინაშენის მოწყვეტა-ჩამოშლისა, რაც ავტომატურად გამოიწვევს ორივე ეკლესიაში არსებულ მოხატულობათა დაზიანებას. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ქვედა ეკლესიის მინაშენში, სადაც ეკლესიის საფასადო კედელსა და მინაშენს შორის განიერი, გამჭოლი ნაპრალია წარმოქმნილი; მთელს მინაშენში შეინიშნება თვით კედლებისა თუ თაღების წყობის ქვების დაძვრა, სხვადასხვაგვარი ბზარები, გამჭოლი ნაპრალები კედლის თაღებსა და კედლებს შორის, შირიმის კვადრების გამოფიტვა-შრებად დაშლა, ხოლო ექსტერიერის მხრიდან, მინაშენის დასავლეთ ფასადზე ბზარების რაოდენობისა და სიღრმის მატება. განსაკუთრებით საგანგაშოა ჩრდილოეთი კომპარტიმენტის ეზოში გახსნილი თაღისა და მის თავზე მოწყობილი ზედა ეკლესიაში ამავალი ქვის კიბის დაზიანება (მასში ბზარები შეინიშნება), რომელიც მინაშენის ამ ნაწილის ჩამოშლის საფრთხეს ქმნის, რადგან ეკლესიაში მოხვედრა მხოლოდ ამ კიბითაა შესაძლებელი და მუდმივად სარგებლობენ (მაცხოვრის ზედა ეკლესია უკვე დიდი ხანია მოქმედი ტაძარია).

დღეის მდგომარეობით ეკლესიის ერთ-ერთი სამშენებლო მასალა, კერძოდ კი შირიმის კვადრები გარკვეულ უბნებზე ქვის სტრუქტურის დაზიანებას განიცდის, რომელიც გამოწვეულია ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებითა და ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობით.

დაზიანებულია თუნუქის საბურველიც.



დაზიანებული სახურავი

მხატვრობა

ჩვენს ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ლადამის ეპლესიაში სხვადსხვა დროს განხორციელდა სარესტავრაციო სამუშაოები

1973 წ. – ქვედა და ზედა ეპლესიების მოხატულობათა გაწმენდა-გამაგრება.

1979 წ. – ეპლესიის გაწმენდა-გამაგრება.

1980-1982 წწ. – ქვედა და ზედა ეპლესიების მოხატულობათა გაწმენდა და გამაგრება. სამუშაოებს აწარმოებდა მხატვარ-რესტავრატორთა ჯგუფი გ. ჭეიშვილის ხელმძღვანელობით.

2001 წ. – ქვედა და ზედა ეპლესიის მოხატულობათა რესტავრაცია. ფონდ Stichting Horizon-ის დაფინანსებით, სამუშაოებს აწარმოებდა მხატვარ-რესტავრატორთა ჯგუფი მ. ბუჩუკურის ხელმძღვანელობით.

მიუხედავად არაერთხელ ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოებისა, ლადამის მაცხოვრის ეპლესიის მოხატულობათა მდგომარეობაც დღეისთვის მძიმეა. უკიდურესად ცუდ მდგომარეობაშია და ლამისაა გაქრობის პირზეა ეპლესიის საფასადო მხატვრობა. წმ. ევსტათეს ნადირობის სცენიდან ძლივსდა გაირჩევა რთული მოძრაობით, ნახტომში გამოსახული ირმის ტანის ნაწილი, მის რქებში ჩაწერილი მაცხოვრის ფიგურის მკრთალი მონახაზი (კომპოზიციის მარჯვენა მხარეს) და წმ. ევსტათეს ფიგურის ზედა ნაწილის ფრაგმენტი (კომპოზიციის მარცხენა მხარეს). ასევე ძლიერ შელახული ფრაგმენტებია დარჩენილი ადამ და ევას პირველცოდვით დაცემის ამსახველი კომპოზიციიდან. ამჟამად მეტ-ნაკლებად გაირჩევა ეპიზოდთა გამმიჯნავი ხეების გამოსახულებანი, ხოლო ფიგურათაგან მხოლოდ ბუნდოვანი კვალი იხილვება (განსაკუთრებით, I, II და III ეპიზოდებში); ფიგურათა მკრთალი სილუეტების გარჩევა ხერხდება მხოლოდ დამასრულებელ, IV ეპიზოდში. ასევე ერთიანადა გამქრალი ეპიზოდთა თანმდევი განმარტებითი წარწერები, რომელიც 1980-იან წლებში მოხატულობის გაწმენდა-გამაგრებისას გამოვლინდა. სამხრეთ ფასადზე, ამჟამად, მხატვრობის კვალი, პრაქტიკულად, აღარ ჩანს. ქვედა და ზედა ეპლესიათა ინტერიერის მოხატულობათა მდგომარეობაც მძიმეა. ორივეგან შეინიშნება სხვადასხვა ადგილას მხატვრობის ნალესობიანად პედლიდან მოცილება, გაფხვიერება, ფერწერული ფენის ჩამოშლა, აქერცვლა, დაბზარვა, პიგმენტების სახეცვლა, გამურვა, ნესტის ლაქები.

კვლევის შემდგომ შესაძლებელი გახდება გავარკვიოთ რა შედეგი გამოიღო წინა პერიოდში განხორციელებულმა სარესტავრაციო სამუშაოებმა. მისი შეფასება ჩვენს პროფესიულ წრეებში ერთმნიშვნელოვანი არ ყოფილა. კერძოდ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ქვედა ეკლესიაში გაიხსნა ადრეული მხატვრობის რამდენიმე ახალი ფრაგმენტი ზედა ფენის განადგურების ხარჯზე. ხოლო ზედა ეკლესიაში არსებობს ეჭვი, რომ რესტავრატორმა ზედმეტად გაწმინდა გარკვეული ადგილები და მხატვრობა გაფერმკრთალდა

აგრეთვე ამ ეტაპზე რთულია იმის თქმა 2001-2003 წწ-ში არქიტექტურის რესტავრაციის დროს განხორციელებულმა ჩარევებმა გამოიღო შედეგი თუ არა რადგანაც, დასავლეთის მინაშენის მზიდი კონსტრუქციები კვლავაც ცუდ მდგომარებაშია. კონტრფორსთან განვითარებულია რესტავრაციის შემდგომი ბზარები, რომლებიც ვითარდება ვერტიკალურად კონტრფორსის აყოლებაზე და მინაშენის სამხრეთ კედელზე. რეკომენდირებულია გაირკვეს მინაშენის დასავლეთი კედლისა და კონტრფორსების დასაძირკვლება (განხორციელდა თუ არა საძირკვლის გამაგრება ბოლო რეაბილიტაციის დროს) ..

მდგომარეობის სათანადოდ შესაფასებლად ხელმისაწვდომი დოკუმენტაციის, მხატვრობის მდგომარეობისა და შესრულებული არქიტექტურული და მხატვრობის საკონსერვაციო სამუშაოების დეტალური გაანალიზება არის საჭირო.

რეკომენდაციები მდგომარეობის გამოხატვის მიზანის ჩახატარებული დონის მიერგების შეხახებ

ამ ეტაპზე მხოლოდ ზოგადად შეგვიძლია ვიმსჯელოთ, როგორც ფერწერის დაზიანებებზე ასევე არქიტექტურის მდგომარეობიაზე, თუმცა ცხადია, რომ ტაძარის კონსტრუქციული ნაწილი არცთუ სახარბიელო მდგომარეობაშია, შესაბამისად (მიუხედავად იმისა, რომ საკონკურსო წინადადება ამას არ მოითხოვს) საფუძვლიანად შესწავლის შემდგომ განზრახული გვაქვს როგორც კონსტრუქციული გამაგრების ასევე არქიტექტურული პროექტის შემუშავება.

საკვლევი ძეგლის მდგომარეობის სირთულიდან გამომდინარე ამ ეტაპზე რაიმე კონკრეტული რეკომენდაციისგან თავს შევიკავებთ (კვლევის დასრულებამდე)

წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ფარგლებში განზრახულია შემდეგი კვლევითი სამუშაოები:

- მოხატულობის ბათქაშისა და ფერწერული ფენის მდგომარეობისა და მიმდინარე დაზიანების პროცესის გაანალიზება არსებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საფუძველზე

შესწავლის და საარქივო მასალების შედარების შემდგომ, შევძლებოთ ზუსტად დავადგინოთ სხვადასხვა დროს განხორციელებული საკონსერვაციო სამუშაოების შემდგომ მხატვრობის მდგომარეობის სტაბილურობისა თუ ცვლილებების ხარისხი.

- მოხატულობის დაზიანებათა ტიპებისა და მოცულობების ზუსტი განსაზღვრა (შესაბამისი დოკუმენტაციის დართვით)

როგორც ვიზუალური ასევე დიაგნოსტიკურ-ლაბორატორიული ანალიზის საფუძველზე დადგინდება დაზიანების ტიპები შესრულდება სრული ფოტო (არეკლილი შუქი, მაკროფოტოგრაფია, მიკროფოტოგრაფია, ულტრაისფერი ლუმინესცენცია) და გრაფიკული დოკუმენტაცია დაზიანებების ტიპების მითითებით (ნიშნულები)

- მოხატულობის საფუძვლის, ბათქაშისა და ფერწერული ფენის ლაბორატორიული კვლევა

ლაბორატორიული კვლევის შედეგები საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ, როგორც საშენი მასალის ტიპი, ასევე შელესილობისა და ფერწერული ფენის შემადგენლობა, თითოეული მასალის ქიმიურ-ფიზიკური მახასიათებლების საფუძველზე დადგინდება მხატვრობის დაზიანების მიზეზები.

აგრეთვე ლაბორატორიულ ანალიზზე დაყრდნობით შეირჩევა საკონსერვაციო მასალა

ანალიზის ჩატარების მეთოდიკა და შედეგები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი დოკუმენტაციით. (საერთაშორისო ნორმალ აქტები)

- მოხატულობის ბიოლოგიური კვლევა

გაკეთდება მიკრობიოლოგიური ანალიზები და შემუშავდება მიკროორგანიზმებთან ბრძოლის მეთოდი

- არქიტექტურული და საინჟინრო ექსპერტიზა

როგორც აღვნიშნეთ ძეგლზე გაირჩევა მრავალი ბზარი მათ შორის კონსტრუქციული შესაბამისად ძეგლის გაჯანსაღებისთვის განხორციელდება კონსტრუქტორის და გეოლოგის მიერ ვიზუალურ-ტექნიკური დათვალიერება, საძირკვლის და ნიადაგის მდგრადობისა ანალიზი (შურფები) და შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვა. განხორციელდება პროექტირებისთვის საჭირო აზომვითი სამუშაოები

- ტენიანობა და ტემპერატურული რეჯიმი

ფარდობითი ტენიანობისა და ტემპერატურული რეჟიმის მონიტორინგი განხორციელდება 5-10 წთ შუალედით, აგრეთვე განხორციელდება

სინათლის ტალღის სიმძლავრის ანალიზი (განსაკუთრებით, ფასადზე
არსებულ მხატვრობაზე)
კვლევის შედეგები წარმოდგენილი იქნება სათანადო დოკუმენტაციის
თანხლებით

- საშენი მასალის ფიზიკო-მექანიკური თვისებების შესწავლა
სათანადო ლაბორატორიული ანალიზების მეშვეობით გამოკვლეული
იქნება ქვის:
 - 1) ფორიანობა
 - 2) კაპილარული შეწოვაკვლევის შემდგომ შემუშავდება რეკომენდაციები

საკონკურსო სამუშაოები მიზნად ისახავს ტაძრის მოხატულობის მდგომარეობის
შეფასებასა და განსახორციელებელი ღონისძიებების სახეობებისა და რიგითობის
განსაზღვრას. განსახორციელებელ სამუშაოთა ღირებულების დადგენას.
საკონსერვაციო სამუშაოებისათვის რეკომენდაციების შემუშავებას.

ჯგუფის შემადგენლობა

ზემოთჩამოთვლილი ღონისძიებებს განსახორციელებს ჯგუფი, რომლის
შემადგენლობაში სხვადასხვა დარგის სპეციალისტები იქნებიან:

კონსტრუქტორი,

არქიტექტორ-რესტავრატორი,

მხატვარ-რესტავრატორი,

ხელოვნებათმცოდნე,

ფერწერის ტექნიკისა და ტექნოლოგიის მკვლევარი

გეოლოგი (მინეროლოგი)

ჰიდრო და საინჟინრო გეოლოგი

ბიოლოგი

არქეოლოგი

დანართი 1 (მოძიებული და დასამუშავებული საარქივო მასალა)

1973 წ. – ქვედა და ზედა ეკლესიების მოხატულობათა გაწმენდა-გამაგრება. ამ ჩარევის ამსახველია მხოლოდ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივში დაცული, მხატვარ-რესტავრატორ გ. ჭეიშვილის მიერ გადაღებული ფოტო მასალა (ქვედა ეკლ.: 1973 წ. – №№49403; 49405; 49407; 49411-49414; 49110-49124; 49126; 49134; 49144. ზედა ეკლ.: 1973 წ. – №№49146; 49397-49398; 49400; 49406; 49408-49410; 49105-49109; 49125; 49127-49133; 49135-49143; 49622; 1974 წ. – №№49341; 49344-49350).

1979 წ. – ეკლესიის გაწმენდა-გამაგრება. ამ ჩარევის ამსახველია მხოლოდ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივში დაცული, არქიტექტორ-რესტავრატორ თ. ნემსაძის მიერ გადაღებული ფოტო მასალა (№№49831-49841).

რადგან არქივში არ მოიპოვება 1973 და 1979 წლებში ჩატარებული სამუშაოების ანგარიში (ტექსტუალური თუ გრაფიკული დოკუმენტაცია), უცნობია, თუ სახელდობრ რა სახის სამუშაოები განხორციელდა და რა მასალები იქნა გამოყენებული ამ ჩარევების დროს.

1980-1982 წწ. – ქვედა და ზედა ეკლესიების მოხატულობათა გაწმენდა და გამაგრება. სამუშაოებს აწარმოებდა მხატვარ-რესტავრატორთა ჯგუფი გ. ჭეიშვილის ხელმძღვანელობით.

ქვედა ეკლესიაში შესრულდა:

- ზედაპირული ჭუჭყის მოცილება;
- იამჩუგის მოცილება;
- ფისადქცეული ჭვარტლის მოცილება;
- ობის მოცილება;
- ფერის ფენის გამაგრება;
- ინექცია;
- ამოკრეფა;
- ქიმების გამაგრება;
- I ფენის მხატვრობაში დაფხვიერებული პიგმენტების გასამაგრებლად გამოყენებულ იქნა ვა 2 ეგა-ს 3% ხსნარი;

- II ფენის მხატვრობაში მჭვარტლის მოსაცილებლად გამოყენებულ იქნა მონომეთილ-ცელოზოლვის სუსტი ხსნარი და პრიმალ ა 33-ის 3% დისპერსია;
- ქიმების გამაგრება კირისა და კლამერების საშუალებით მოხდა;
- მხატვრობის ნალესობისა და პიგმენტების ანალიზი.

ზედა ეკლესიაში შესრულდა:

- ზედაპირული ჭუჭყის მოცილება;
- იამჩუგის მოცილება;
- ფისადქცეული ჭვარტლის მოცილება;
- ობის მოცილება;
- ფერის ფენის გამაგრება;
- ინექცია;
- ამოკრეფა;
- ქიმების გამაგრება;
- ინტერიერის მხატვრობაში პიგმენტების გასამაგრებლად გამოყენებულ იქნა ვა 2 ეგა-ს 3% ხსნარი;
- ინტერიერის მხატვრობაში მჭვარტლის მოსაცილებლად გამოყენებულ იქნა მონომეთილ-ცელოზოლვის სუსტი ხსნარი და პრიმალ ა 33-ის 3% დისპერსია;
- ინტერიერის მხატვრობაში ქიმების გამაგრება კირისა და კლამერების საშუალებით მოხდა;
- საფასადო მხატვრობის გასამაგრებლად გამოყენებულ იქნა კირის წყალი და ცვილი;
- საფასადო მხატვრობაში ქიმები და შეგსება შესრულდა სპეციალურად შუშაზე დამწვარი კირის საშუალებით;
- მხატვრობის ნალესობისა და პიგმენტების ანალიზი;
- ეკლესიის სახურავის გამოცვლა და საგანგებო გადმონაშვრის მოწყობა საფასადო მხატვრობის დასაცავად.

ამ ჩარევის ამსახველი დოკუმენტაცია საკმაოდ ვრცელია:

- ა) საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივში დაცული მოხატვლობათა სქემები:

- ქვედა ეკლესია:

№9343-9344 – 1982 წ., ბუჩუკური, თორთლაძე, გელოვანი, ჯაფარიძე, ხელაძე (მოხატულობათა სქემები; მოხატულობათა სქემები ჩატარებული სამუშაოების აღნიშვნით).

- ზედა ეკლესია:

№№9342; 9345-9350 – 1982 წ., ბუჩუკური, თორთლაძე, გელოვანი, ჯაფარიძე, ხელაძე (მოხატულობათა სქემები; მოხატულობათა სქემები ჩატარებული სამუშაოების აღნიშვნით).

ბ) პუბლიკაციები, ჩატარებული სამუშაოების აღწერითა და შედეგების ანალიზით:

- G. Cheishvili, M. Buchukuri, On Certain Peculiarities of Medieval Mural Paintings in Upper Svaneti, I. Murals in the Interior, II. Murals on Facades, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბ., 1983
- გ. ჭეიშვილი, ლადამის მაცხოვრის ეკლესიის ფრესკების კონსერვაცია, ქართული სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, თსსა სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 1986

გარდა ამისა, ამავე პერიოდში შესრულდა ზედა ეკლესიის საფასადო მხატვრობის კალკები, რომელიც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივშია დაცული და ასლები, რომელიც მესტიის მუზეუმში ინახება:

- №8956 – 1981 წ., მ. ბუჩუკური, გ. ჭეიშვილი (ჩრდილოეთი ფასადის მოხატულობის კალკი)
- №9221 – 1981-1982 წწ., მ. ბუჩუკური, გ. ჭეიშვილი (აღმოხავლეთი ფასადის მოხატულობის კალკი)
- №10231 – 1984 წ., გ. ჭეიშვილი, მ. ბუჩუკური, მ. ტატიშვილი (ფრესკული წარწერების კალკი)
- 1981 წ., მ. ბუჩუკური (აღმოხავლეთი ფასადის მოხატულობა; ჩრდილოეთი ფასადის მოხატულობა)

2001 წ. – ქვედა და ზედა ეკლესიის მოხატულობათა რესტავრაცია. ფონდ Stichting Horizon-ის დაფინანსებით, სამუშაოებს აწარმოებდა მხატვარებავრატორთა ჯგუფი მ. ბუჩუკურის ხელმძღვანელობით.

2001-2003 წწ. – ეკლესიის რესტავრაცია. ფონდ Stichting Horizon-ის დაფინანსებით, სამუშაოებს აწარმოებდა არქიტექტორ-რესტავრორთა ჯგუფი თ. ნემსაძის ხელმძღვანელობით.

2001-2003 წლებში განხორციელებული ჩარევების ამსახველი დოკუმენტაცია ხელმიუწვდომელია. ერთადერთ წყაროს სამუშაოთა ჩატარების შესახებ წარმოადგენს სვანეთში, ფონდ Stichting Horizon-ის დაფინანსებით 1997-2006 წლებში წარმოებული სარესტავრაციო პროექტებისადმი მიძღვნილი გამოფენის კატალოგი – Art Treasury of Svaneti. The restoration programme of Stichting Horizon 1997-2006 in Georgia, Tb., 2007.